პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის კატალოგი

2024 წელი

შესავალი

- პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული დაწესებულების მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

გერიატრიული ასისტენტი
Geriatric Assistant

- პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება
- განხორციელების ენა: ქართული
- სფერო: 091 - ჯანდაცვა
- პარტნიორები: საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი
- კვალიფიკაციის დონე: 3 - პროფესიული მომზადება
- პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9

პროგრამის აღწერა

- კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 18
- მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: 15
- მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში 15
- მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში 10

პროგრამის აღწერა

- პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას, ასაკით არიან 18 წელს ზემოთ აქვს სურვილი დასაქმდნენ ხანგრძლივი ზრუნვის ინსტიტუტში მომვლელად; შეისწავლოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის თანამედროვე მიდგომები და მოვლის პრაქტოკული უნარ -ჩვევები და გახდეს კვალიფიცირებული კადრი შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად ასევე მსმენელი შეისწავლის: მოვლას, დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ეფექტურ კომუნიკაციის უნარების განვითრებას

პროგრამის აღწერა

- მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარებას მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, პაციენტისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას. პროფესიული მომზადების პროგრამის - „გერიატრიული ასისტენტი“ -სასწავლო პროცესი წარიმართება 9 კვირა 8 კვირის განმავლობაში, კვირაში 18 საათიანი დატვირთვით და მე - 9 კვირა დადასტურება შედეგების 8 საათი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 152 საათს. პროცესის თეორიული კომპონენტი - 27 საათი (25 სთ თეორიული სწავლება, 2 სთ შეფასება) განხორციელდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ბაზაზე, (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატ. N 9) A სასწავლო გარემოში. პრაქტიკული კომპონენტის სწავლება C გარემო - 125 საათი (119 სთ პრაქტიკული მუშაობა, 6 სთ შეფასება) განხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციის ბაზაზე: (ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი

პროგრამის მიზანი

- პროფესიული მომზადების პროგრამის ,,გერიატრიული ასისტენტი“ მიზანია მსმენელმა შეიძინოს გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარ - ჩვევები, რაც ითვალისწინებს: მოვლას დაავადებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეფექტურ კომუნიკაციას, მოვლისთვის საჭირო პროცედურების ჩატარებას, კვებას, ჰიგიენის მოწესრიგებას, ჩაცმა/გახდას, საწოლის გამზადებას, საწოლისა და პირადი თეთრეულის გამოცვლას, დახმარებას მოძრაობის დროს; პაციენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მისთვის მოსახერხებელი გარემოს შექმნას, ტრანსპორტირებას, სანიტარულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვას. კურსის დასრულების შემდგომ პირი შეიძლება დასაქმდეს: მომვლელად ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, სათემო ან საოჯახ ტიპის მომსახურება, დღის ცენტრი)

კალმახის მოშენების სპეციალისტი
Trout breeding specialist

- პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება
- განხორციელების ენა: ქართული
- სფერო: 083 - მეთევზეობა
- პარტნიორები:
  შპს დგვრისი
  შპს ბიო მარი
- კვალიფიკაციის დონე: 3 - პროფესიული მომზადება
- პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15
- კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 4
- მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე: 15
- მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში 15
- მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში 8

პროგრამის აღწერა

- პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია არანაკლებ 18 წლის საბაზო განათლების მქონე პირს. პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს,შეისწავლონ საკალმახე მეურნეობის ფუნქციონირების პრინციპები და კალმახის გუნდის საერთოჯანმრთელობის უზრუნველყოფის წესები, შეძლონ გარემოსა და ვეტერინარულ- სანიტარიულ ნორმების დაცვით კალმახის გამოზრდა და კვება, საკალმახე გუნდის საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვება და შეფასება, ასევე ქვირითის და
-

პროგრამის აღწერა

- სხვადასხვა ასაკობრივ სტადიაში მყოფი კალმახის მომზადება ტრანსპორტირებისთვის. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით კოლეჯის „ამაგი“ თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის ორ ობიექტზე. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას, სულ 120 საათი კვირეული დატვირთვა 4-24 საათი სწავლების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული ინტერაქციული სწავლების მეთოგოლოგია, პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენებები, პრაქტიკის ობიექტებზე მსმენელები შეასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს. განმავითარებელი შეფასება პრაქტიკულად ყველა მეცადინეობაზე სწავლის პარალელურად განხორციელდება, ასევე თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ ჩატარდება განმსაზღვრელი შეფასება. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერტიფიკატი შესაბამისი დანართით. პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას საკალმახე მეურეობებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება და საკუთარი ბიზნესის წარმოება.

პროგრამის მიზანი

- პროფესიული მომზადების პროგრამის კალმახის მოშენების სპეციალისტი მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს საკალმახე მეურნეობის ფუნქციონირების პრინციპებისა და კალმახის გუნდის საერთო ჯანმრთელობის უზრუნველყოფის წესების აღწერას, გარემოსა და ვეტერინარულ- სანიტარული ნორმების დაცვით კალმახის გამოზრდას და კვებას, საკალმახე გუნდის საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვებასა და შეფასებას, ასევე ქვირითის და სხვადასხვა ასაკობრივ სტადიაში მყოფი კალმახის მომზადებას ტრანსპორტირებისთვის